



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თბილისი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში დაწესებულება/კოლეჯი) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის პროცედურებს, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის/სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში – პროგრამა), რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს;

2.2. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული ტესტირების გავლის გზით ან პროფესიული ტესტირების გავლის გარეშე;

2.3. პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება წინამდებარე წესითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

2.4. პროფესიული ტესტირების გარეშე ჩარიცხვისას, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებსაც ზოგადი განათლების იმ საფეხურზე, რომელიც პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს, აქვთ უფრო მაღალი საშუალო შეფასება (შეფასებების საშუალო არითმეტიკული), უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ასევე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის

დამადასტურებელი დოკუმენტის შეფასების ფურცლის მიხედვით არსებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული, თანაბარი ქულების შემთხვევაში აპლიკანტებს უტარდებათ გასაუბრება. გასაუბრების წესი და კრიტერიუმები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით;

2.5. არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, პირს უტარდება გამოცდა დაწესებულების მიერ. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ის სწავლას იწყებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის ქართული ენის მოდულით;

2.6. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის გავლისას მიღებული შეფასების ფურცელი და თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში გაიაროს გასაუბრება;

2.7. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა);

2.8. იურიდიული პირი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს განახორციელოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა ამ პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით;

2.9. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;

2.10. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიულ პირს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადება.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების გამოცხადება

3.1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც ფლობს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;

- 3.2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები, დაიშვება პირი, რომელიც ფლობს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- 3.3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს;
- 3.4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს;
- 3.5. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება ჩარიცხვის პირობები და პროცედურა, პროფესიული ტესტირებითა და ტესტირების გარეშე მისაღები პროფესიული სტუდენტის ქვოტა კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და მათი წარმოდგენის ვადები, კონკურსის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტები, გასაუბრების ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები;
- 3.6. პროფესიული ტესტირების გავლით მიღების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია განსაზღვროს კონკრეტულ პროგრამაზე გასაუბრების გავლის მოთხოვნა და პირობები, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 3.7. პროფესიული ტესტირების გავლით მიღების შემთხვევაში, კოლეჯი დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15% - ს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტათვის.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 4.1. პროფესიული ტესტირების გავლის გზით ჩარიცხვის შემთხვევაში, პროფესიული ტესტირებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების წარმატებით გავლის შემთხვევაში, აპლიკანტი მოიპოვებს დაწესებულებაში კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას;
- 4.2. პროფესიული ტესტირების გავლის გზითა და პროფესიული ტესტირების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად, აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და საჭიროების შემთხვევაში გასაუბრების ჩატარების მიზნით, დაწესებულების დირექტორის

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის გადაწყვეტილების/ დადგენილების საფუძველზე დირექტორი გამოსცემა ბრძანებას აპლიკანტისათვის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარცხვისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

4.4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დადგენილი წარმოსადგენი დოკუმენტების წარუდგენლობა/არასრულად წარმოდგენა, აპლიკანტისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველია;

4.5. მონაცემები ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ, აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით;

მუხლი 5. პროფორიენტაცია და კონსულტირება

5.1. პროფორიენტაციასა და კარიერის საკითხებთან, აგრეთვე სხვა სერვისებთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კონსულტირებას უწევს დაწესებულებაში არსებული შესაბამისი სამსახური/უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სპეციალობის არჩევის შესახებ, ორგანიზებას უწევს შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, აწვდის ინფორმაციას კოლეჯის ექსტრაკურიკულური აქტივობებთან დაკავშირებით;

5.2. კონსულტირება პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასა და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

მუხლი 6. ხელშეკრულების გაფორმება და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე

6.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პროფესიულ სტუდენტთან/ კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან ფორმდება ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ;

6.2. ვაუჩერული დაფინანსების არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებას თან ერთვის შეთანხმება სწავლის საფასურის გადახდის პირობების შესახებ;

6.3. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე უნდა მოიცავდეს:

- ა) კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ჩარციხვისას წარმოდგენილ დოკუმენტებს;
- ბ) ხელშეკრულებას;
- გ) პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათს (კურსდამთავრებულების შემთხვევაში);
- დ) პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ყველა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დამოწმებულ ამონაწერს ან დამოწმებულ ასლს;
- ე) დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტზე გაცემული სერტიფიკატებისა და დიპლომების ასლებს;
- ვ) სხვა დოკუმენტს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

7.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

7.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება (პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება უნდა მოიცავდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზს. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
- ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;
- გ) ფინანსური დავალიანება (მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის დარღვევა);
- დ) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუ პროფესიულ სტუდენტს სამხედრო სამსახურში ყოფნის რეჟიმი საშუალებას აძლევს დაესწროს მეცადინეობების გარკვეულ რაოდენობას, მას საშუალება უნდა მიეცეს განაგრძოს სწავლა ინდივიდუალურ რეჟიმში;
- ე) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ზე ნაკლების აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
- ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

7.3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩათვლება სწავლის საფასურში.

7.4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 3 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.

7.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მიერ აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შემდგომი ნაკადის მიღების გამოცხადების შემთხვევაში. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს ან მის უფლებამონაცვლეს;

7.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით;

7.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩათვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და გადახდილი საფასური და საჭიროებიდან გამომდინარე სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

7.9. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით. მობილობა კი შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში;

7.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების სხვა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

10.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კვალიფიკაციის მინიჭება;
- გ) გარდაცვალება;
- დ) პროფესიული სტუდენტის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ე) დაწესებულების შინაგანაწესის უხეში დარღვევა;
- ვ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
- ზ) თვითდაფინანსების შემთხვევაში სწავლის საფასურის გადაუხდელობა;
- თ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 3 (სამი) წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა;
- ი) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
- კ) პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
- ლ) საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

10.2. დაწესებულება ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება;

10.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდება;

10.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი თავიდან მოპოვება დასაშვებია წინამდებარე წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად;

10.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების სხვა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 11. მობილობა

11.1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი;

11.2. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი;

11.3. გარე და შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის დირექტორი;

11.4. მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

11.5. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა

ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტის სტატუსის, სტატუსის შეჩერებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. განცხადების რეგისტრაციისას მობილობის მსურველს ეცნობება და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია;

11.6. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;

11.7. პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით;

11.8. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში;

11.9. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს;

11.10. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

12.1. კოლეჯის მიერ ხორციელდება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, შიდა მობილობის შემთხვევაში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან

თავსებადობის დადგენა, რომელზეც ხორციელდება მობილობა და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

12.2. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.3. კოლეჯის მიერ შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისობა მათ დასახელებაში არსებული სხვაობის მიუხედავად;

12.4. შიდა მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარება ხდება დაწესებულების მიერ. შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მიეთითება ინფორმაცია აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესახებ;

12.5. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის მითითებით;

12.6. კოლეჯი უფლებამოსილია, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ დაადგინოს პირის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების ფლობა და შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. თავსებადობის არარსებობა შესაძლებელია გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი;

12.7. აღიარება დასაშვებია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ნებისმიერი დონის კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის, ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

12.8. სწავლის შედეგების აღიარება შესაძლებელია, თუ:

ა) მათი მიღწევა დადასტურებულია არაფორმალური განათლების აღიარების გზით;

ბ) სწავლის შედეგების ფორმულირება ერთნაირია. ფორმულირებაში არსებული მცირედი განსხვავებები, რომლებიც გამოწვეულია ენობრივი თვალსაზრისით ან/და სწავლის შედეგის განსხვავებული სტრუქტურირებით, ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას, თუ ისინი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

გ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება პროგრამის სწავლის შედეგებს;

დ) მიღწეული სწავლის შედეგების ერთობლიობით დგინდება შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება პროგრამის სწავლის შედეგებს;

12.9. სწავლის შედეგების აღიარების მსურველი პირი ვალდებულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში მიმართოს დაწესებულებას წერილობითი განცხადებით, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად საჭირო ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, მათ შორის, ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სილაბუსი და სხვა.;

ბ) კოლეჯი არ არის უფლებამოსილი პირს მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების ნაწილში, რომელიც მიღწეული იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში;

გ) დაწესებულება ვალდებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში მიიღოს არგუმენტირებული გადაწყვეტილება აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე;

დ) ამ მუხლის 12.8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.10. პირს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში;

12.11. იმ შემთხვევაში, თუ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი არ იქნება აღიარებული, პირს მოდულით განსაზღვრული კრედიტი ენიჭება იმ სწავლის შედეგების მიღწევის კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურების შემდეგ, რომლის აღიარება არ მოხდა;

12.12. დაუშვებელია აღიარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირს კოლეჯის მიერ ერთხელ ეთქვა უარი კონკრეტული სწავლის შედეგების აღიარებაზე, კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის;

ბ) პირის მიერ არ არის წარმოდგენილი ამ წესის 12.9. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით მისი შეფასების ორგანიზების გზით;

12.13. პირის შეფასების შემთხვევაში, აღიარებული სწავლის შედეგების მიღწევის უარყოფითი შეფასება წარმოადგენს აღიარების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს, შესაბამისი სწავლის შედეგების ნაწილში.

12.14. თუ პროფესიული სტუდენტის მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში, როდესაც სასწავლო გეგმით პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ მოდულებზე და მობილობის მსურველს კრედიტები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ათვისებული, დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ;

12.15. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი ამოქმედდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ შესაბამისი წესის დამტკიცების დღიდან.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესი

13.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი), მათ შორის შესვენება 10 წუთი;

13.3. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.

მუხლი 14. კოლეჯის მიერ ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელების წესი

14.1. დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

14.2. კოლეჯი აგრეთვე უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კოლეჯის მიერ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რაც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამი(ებ)ის, პროფესიული გადამზადების პროგრამი(ებ)ის ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამი(ებ)ის დასრულების ფაქტს;

14.3. დაწესებულების მიერ სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

15.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ვადაში დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთი მცდელობის გამოყენებით. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის განმეორებით დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს თავიდან;

15.3. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადაში დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი განმეორებით დაადასტუროს

წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე ნებისმიერ დროს ერთი მცდელობის გამოყენებით, აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის განმეორებით დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს თავიდან;

15.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ ამ მუხლის 15.3. პუნქტში აღწერილ მოდულების დაწყება - დამთავრების პერიოდმა არ შეუშალოს ხელი პროფესიულ სტუდენტს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე გადასაბარებელი მოდულის/სწავლის შედეგის გონივრულ ვადაში განმეორებით დასადასტურებლად;

15.5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ, ამ მოდულის დაუდასტურებელი შედეგის განმეორებით დასადასტურებლად, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განცხდებით მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

15.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე;

15.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შეფასების შესაბამის ინსტრუმენტს;

15.8. შეფასების პრინციპებია ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა;

15.9. შეფასება ვალიდურია, თუ შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები), ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი;

15.10. შეფასება სანდოა თუ:

ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად პროფესიული სტუდენტის შედეგების შემფასებლის ვინაობისა და დროის პერიოდისა;

ბ) გამოყენებული შეფასების მექანიზმები ვალიდურია;

გ) იგი ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

15.11. ობიექტური შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა

იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიტი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო, შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი;

15.12. შეფასების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგის დადასტურება შესაძლოა მოითხოვდეს დამკვირვებლის ჩართულობას. დამკვირვებელი შეიძლება იყოს დარგის/შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი;

15.13. სწავლის შედეგების შეფასების ობიექტურად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდამონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შერჩევის პრინციპით ახდენს სწავლის შედეგებზე დასწრებასა და მონიტორინგს;

15.14. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმებთან, რომელიც მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებულება იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი;

15.15. მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად;

15.16. ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო;

15.17. მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ;

15.18. მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას შეძლებს იმავე კრიტერიუმების შესაბამისად, არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც;

15.19. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას;

15.20. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს;

15.21. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

15.22. მოდულის სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია როგორც ცალცალკე, ისე შედეგების გარერთიანებით, ან მოდულში მითითებული შედეგების რითობის დარღვევით.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება

16.1. მოდულის ყველა შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 3 კალენდარული დღის ვადაში;

16.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დაწესებულების კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს;

16.3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში;

16.4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული სტუდენტის შემფასებელთან ერთად განიხილავს საჩივარს. შემფასებელი ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, იგი უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ თვლის, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია;

16.5. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია 2 კალენდარული დღის ვადაში განმეორებით შემოიტანოს განცხადება დაწესებულების კანცელარიაში და მოითხოვოს ნამუშევრის კომისიის წინაშე განხილვა;

16.6. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარდგინების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს კომისიის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედიან სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი(კომისიის თავმჯდომარე) და შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე ორი წარმომადგენელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი;

16.7. კომისია განიხილავს საჩივარს, რომელსაც მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრება პროფესიული სტუდენტის ნამუშევრის შემფასებელი, რომელიც ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობა;

16.8. კომისია უფლებამოსილია არგუმენტირებული დასაბუთების შედეგად შეცვალოს ან ძალაში დატოვოს შემფასებლის მიერ დადგენილი შეფასება;

16.9. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ნამუშევრის შემფასებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

16.10. ზოგადი ხასიათის, არგუმენტირებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციის გარეშე ჩამოყალიბებული წერილობითი საჩივარი არ ექვემდებარება განხილვას.

16.11. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

16.12. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება

17.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული ფორმის მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის მოდულებით;

17.2. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას;

17.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

17.4. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

17.5. კოლეჯის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების შენახვის უზრუნველყოფა მოხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 18. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

18.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ) დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.

გ) დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

18.2. წინამდებარე მუხლის 18.1. პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

18.3. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის წესით სწავლის გაგრძელებას.

18.4. იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს წინამდებარე მუხლის 18.1. პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით და 18.3 მუხლით გათვალისწინებულ მექანიზმებზე, დაწესებულება განახორციელებს შესაბამისი ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

მუხლი 19. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები

19.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი;

19.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია გამართოს კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის, მოდულების შემთხვევაში მათი ადაპტირების/აკომოდირების მიზნით;

19.3. საგანმანათლებლო პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;

19.4. ამ მუხლის 19.3 პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით;

19.5. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე;

19.6. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებული წესით. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა გავლილი მოდულების ან დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 20. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელი

20.1. მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;

20.2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

20.3. მსმენელის მიერ სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

20.4. პირს ენიჭება მსმენელის სტატუსი დაწესებულების დირექტორის მიერ მსმენელის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის და მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

20.5. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულება;

გ) გარდაცვალება;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი.

20.6. დაწესებულება ვალდებულია მსმენელის შესახებ მონაცემები ასახოს ელექტრონულ სისტემაში.

მუხლის 21. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

21.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი;

21.2. შესაბამისი მოდულის დაწყებამდე პროგრამის ხელმძღვანელი/მოდულის განმახორციელებელი მიმართავს დაწესებულების ადმინისტრაციას სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების მოთხოვნით;

21.3. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული

სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;

21.4. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია;

21.5. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, 3 (სამი) წლია ვადით კოლეჯში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთაღნიშნული მტკიცებულება.

მუხლი 22. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა

22.1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

22.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს;

22.3. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში;

22.4. დაწესებულების ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

ა) ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);

ბ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;

გ) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა კოლეჯის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

მუხლი 23. სწავლის საფასური

23.1. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

23.1.1. ერთი კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე.

23.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლის განსხვავებული საფასური.

23.3. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის 20% (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია), ხოლო საგანმანათლებლო მომსახურების დარჩენილი საფასური დაფაროს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

23.4. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

- ა) ომისა და შეირადებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
- ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;
- გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები;
- დ) I და II ჯგუფის შშმ პირები;
- ე) ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
- ვ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
- ზ) ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;
- თ) პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.

23.5. სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის განხორციელების საკითხი განიხილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელი მიერ დაწესებულების დირექტორის სახელზე განცხადებისა და წინამდებარე მუხლის 23.4. პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

23.6. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით.

მუხლი 24. დასკვნით დებულებები

24.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი, ბრძანებით.

24.2.წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.